საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4365
10/08/2022

4365-21-2-202208101921

ფ/პ ირინე კოსტავას
ელ.ფოსტა: lavrentibigvava@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3338 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ანასეულის ტერიტორიაზე სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში (თავი 1) წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წყალაღება განხორციელდება 7 თვის განმავლობაში (მარტი - 150 მ^3, აპრილი - 200 მ^3, მაისი - 250 მ^3, ივნისი - 300 მ^3, ივლისი - 350 მ^3, აგვისტო - 350 მ^3, სექტემბერი - 350 მ^3), ხოლო წელიწადში სარწყავად გამოსაყენებული წყლის რაოდენობა იქნება 2300 მ^3-ს. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს წლიურად ასაღები წყლის ჯამური მოცულობა;
- დოკუმენტში მოცემული არ არის საფილტრაციო-გამანაწილებელი სადგურიდან წვეთოვანი სისტემისათვის წყლის მისაწოდებელი ტუმბოს GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „წყალაღების წერტილიდან მილის საშუალებით წყლის მიწოდება ხორციელდება საიჯარო მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საფილტრაციო-გამანაწილებელ სადგურზე, საიდანაც წყლის გადაქაჩვა ხდება წყლის აუზში (რეზერვუარში)“. დოკუმენტში მოცემული არ არის აღნიშნული რეზერვუარის ტიპი (პოლიეთილენის, ბეტონის და ა.შ), პარამეტრები და განთავსების GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში მოცემული არ არის სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე წყალაღებისათვის და წვეთოვანი სისტემისათვის წყლის მისაწოდებელი ტუმბოების მუშაობის შედეგად, ტუმბოების განთავსების წერტილიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე ხმაურის გავრცელებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების საკითხი;
- წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, „სარწყავი სისტემის მოწყობის და ასევე ექსპლუატაციის დროს სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება“. ამასთან, სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ ტერიტორიაზე

სამელიორაციო (სარწყავი) სისტემა უკვე მოწყობილია. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო